

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N2

ქ. ზუგდიდი

22 იანვარი 2019 წელი

2019 წლის 22 იანვარს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა;

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერია

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდა დეპუტატი:** მამუკა წოწერია, ბესიკ ჭეჭია, თამუნა ჯიქია, თაზო ფაცაცია, კონსტანტინე კაკავა, დავით გახარია, სანდრო სორდია, ოთარ ქადარია, დაზმირ დიმციეშვილი, მიხეილ ჯობავა, ეკატერინე კიფაია, ირაკლი ლავგილავა, ზაზა ანდრიაძე, გიორგი კუკავა, ირუზა კაკავა, ზაზა პროკოპენკო, ზაზა ხუბუა, არჩილ ბერანძე, ამირან ჩხოლარია, გია დანელია, ჯანსუღ ჯაბუა, მანანა მეზონია, სოსო გოგოხია, პაატა ებრალიძე, ტარიელ გაბულდანი, ირაკლი ჯანაშია, ზვიად ქირია, რევაზ თორდია, ბათლომე შელია, პაატა ადამია, თენგიზ ალმასია.

**საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატი:** სალომე ფაცაცია, ოთარ მარშავა, ზვიად ყორშია, ჯონი ჯიქია, ედიტა კოდუა, მამუკა თოლორაია, ლაშა ესებუა, მამუკა ყურაშვილი, დავით ჭაფანძე, ზურაბ გოგოძე, გოგიტა ზარქუა, გიორგი თოდუა, დავით შელია, რამაზ ჯაბუა, გელა თოლორაია, გოგი თოდუა, მალხაზ ციკუტანია, ანა წითლიძე, ირაკლი ლურჯაია.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:** სალომე ჩანგელია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის, ჯანმრთელობის განყოფილების უფროსი, გოგო რევიან-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსი, ნატალია პაპასკირი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, არასამთავრობო სექტორის, პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები;

**სხდომას მდივნობდა:** საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო ჯიქია;

**სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე;**

**სხდომა დამთავრდა: 14:50 საათზე;**

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო მორიგი სხდომის დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“- სათვის (ს/კ 220001496) გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

**მომხსენებელი:** ირაკლი ლავგილავა-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2., „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 დეკემბრის N100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**მომხსენებელი:** დავით გახარია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა, კომისიის თავმჯდომარე;

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურება და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსებულის პროგრამის დამტკიცების თაობაზე;

**მომხსენებელი:** ოთარ ქადარია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

**თანამომხსენებელი:** სალომე ჩანგელია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ჯანმრთელობის განყოფილების უფროსი

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

**მომხსენებელი:** ოთარ ქადარია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

**თანამომხსენებელი:** გოგი რევია -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის სოციალური განყოფილების უფროსი

5., „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 ნოემბრის №112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელი:** მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე მამუკა წოწერიამ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს

**მომხრე- დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი;**

**დაამტკიცეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 იანვრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით;

**საკრებულომ მიიღო N3 განკარგულება (თან ერთვის)**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“- სათვის (ს/კ 220001496) გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

**მომხსენებელმა** ირაკლი ლავილაძემ აღნიშნა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ. დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-246 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 9 იანვრის №02/116 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N93-ში მდებარე შენობის მე-2 სართულზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 189,30კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.34.03.006.01.519) და მე-3 სართულზე არსებული 48,40კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N43.34.03.006.01.517) არასაცხოვრებელი ფართები პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს“.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიაშვილი დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

### **მომხრე - 31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**გადაწყვიტეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, უვადოდ სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“- სათვის (ს/კ 220001496) გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

### **საკრებულომ მიიღო N4 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 დეკემბრის N100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**მომხსენებელმა დავით გახარიამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 დეკემბრის №100 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016488) შეტანილ იქნეს ცვლილება, 2019-2022 წლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მთავარი ვექტორი ფოკუსირებული იქნება იმ პრიორიტეტებზე როგორც არის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური პროგრამების გაფართოება, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ქსელის სისტემატური ზრდა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ნორჩ აღსაზრდელთა კონტიგენტის მაქსიმალურად მოცვა, კულტურული ცხოვრების, სპორტის, ტურიზმის შემდგომი განვითარება, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის სფეროში აგრეთვე საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ომის ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ შესაბამისი კანონებით და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული დელეგირებული უფლებამოსილებების მუნიციპალური სახსრებით ფინანსური მხარდაჭერა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია: მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; განათლების სფეროს მხარდაჭერა, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა, აღნიშნული დარგის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება; კულტურისა და სპორტის განვითარება, ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; თვითმმართველობა და თავდაცვა.

22990.9 ათასი ლარი-ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 9,055.0 ათასი ლარი-საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. 8,955.0 ათასი ლარი-გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. 100.0 ათასი ლარი-ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია. 5,029.4 ათასი ლარი-კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. 4200,0 ათასი ლარი-დასუფთავების პროგრამა. 170,0 ათასი ლარი-ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. 100,0 ათასი ლარი-მიწის ნაკვეთების საკადასტრო ნახაზების და ქონების შეფასების ხარჯები. 20.0 ათასი ლარი-ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. 330,0 ათასი ლარი-გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. 4,333.3 ათ.ლარი -მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები. 4,000.0 ათასი ლარი-მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები ა(ა)ი.პ „კეთილმოწყობის ცენტრის“ ბაზაზე. 300,0 ათასი ლარი-ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა. 283.9 ათასი ლარი-სანიაღვრე არხების მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. 120,0 ათასი ლარი-მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა. 301,5 ათასი ლარი-შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა. 220,0 ათასი ლარი-სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. 50,0 ათასი ლარი-მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობის ღონისძიებანი. 2,120.0 ათასი ლარი-რგფ-დან და მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება. 504.3 ათასი ლარი-სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო

ღონისძიებების პროგრამა. 586.1 ათასი ლარი-სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები. 7291.6 ათასი ლარი-განათლება. 5000,0 ათასი ლარი-სკოლამდელი აღზრდის განათლების ხელშეწყობის პროგრამა. 746.5 ათასი ლარი-საჯარო სკოლების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა. 900,0 ათასი ლარი-სკოლისგარეშე სწავლებისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა. 50,0 ათასი ლარი-განსაკუთრებული ნიჭის მქონე ბავშვთა და ახალგაზრდების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა. 10,0 ათასი ლარი-შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა. 4,044.5 ათასი ლარი-კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები. 1310,0 ათასი ლარი-სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა. 1160,0 ათასი ლარი-მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. 80,0 ათასი ლარი-სპორტული ღონისძიებების დაფინანსება. 70,0 ათასი ლარი-ახალგაზრდული და გენდერული პროგრამების დაფინანსება. 1840,0 ათასი ლარი-კულტურის განვითარების ხელშეწყობა. 960,0 ათასი ლარი-ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა. 50,0 ათასი ლარი-კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა. 560,0 ათასი ლარი-საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა. 200,0 ათასი ლარი-კულტურული ღონისძიებების დაფინანსება. 70,0 ათასი ლარი-ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა. 40,0 ათასი ლარი-საცხენოსნო კლუბი „ხარებას“ ფინანსური ხელშეწყობა. 20,0 ათასი ლარი-მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია. 3.5. 100,0 ათასი ლარი-რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა. 3,170.0 ათასი ლარი-მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. 276.8 ათასი ლარი-საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება. 50,0 ათასი ლარი-ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა. 125,0 ათასი ლარი-ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა. 220,0 ათასი ლარი-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ონკოლოგიურ ავადმყოფთა სოციალური დაცვის პროგრამა. 70,0 ათასი ლარი-მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის პროგრამა. 40,0 ათასი ლარი-ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამა. 75,0 ათასი ლარი-სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა. 195,0 ათასი ლარი-ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა. 140,0 ათასი ლარი-სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა. 30,0 ათასი ლარი-დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა. 110,0 ათასი ლარი-სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით უზრუნველყოფის და კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების მატერიალური და ფინანსური დახმარების პროგრამა. 803.2 ათასი ლარი - სამედიცინო დახმარების პროგრამა. 50,0 ათასი ლარი-სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამა. 800,0 ათასი ლარი-უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა. 25,0 ათასი ლარი-პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“. 8,303.9 ათასი ლარი-წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა. 220,0 ათასი ლარი-თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება. 2019 წლის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 150,0

ათასი ლარის ოდენობით და მისი ხარჯვა განხორციელდეს „საბიუჯეტო კოდექსით“ დადგენილი წესით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის-ბრძანების საფუძველზე.

**აზრი გამოთქვას:**

**ბათლომე შელიამ აღნიშნა:** ჩვენ ყოველთვის მივესალმებით ბიუჯეტში თანხის მატებას ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად, მაგრამ მაინტერესებს თანხების გადანაწილება სხვადასხვა სოფლებში, როგორი ბალანსით ხდება, რადგან არ შეიძლება ერთსა და იმავე სოფელში განხორციელდეს რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტი ისე, რომ ხსვა სოფლები დაიჩაგროს.

**მამუკა წოწერია აღნიშნა:** ვეთანხმები აღნიშნულ შენიშვნას და გეტყვით, რომ ჩვენ კომისიის სხდომაზე ვიმსჯელებთ იმ კრიტერიუმებზე, რომლის გათვალისწინებით მოხდება მომავალში კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება.

**პაატა ადამია აღნიშნა:** ვფიქრობ, რომ უმჯობესია მერიის შესაბამისმა სამსახურმა გაგვაცნოს ის კრიტერიუმები რომლის საფუძველზეც მოხდება გადაწყვეტილების მიღება, რომ მომავალში არ აღმოვჩნდეთ მსგავს სიტუაციაში.

**გია დანელიამ აღნიშნა:** პროექტის განხორციელებას, რათქმაუნდა მივესალმები და ყველას გილოცავთ. მნიშვნელოვანია, რომ ამ ჩამონათვალში შესულია კახათის გზის რეაბილიტაცია.

**მამუკა წოწერია აღნიშნა:** აღნიშნულთან დაკავშირებით მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ შექმნილ კრიტერიუმებში ჩარევა ჩვენი კომპეტენცია არ არის, მაგრამ იქნება კონსულტაციები, მოეწყობა პრეზენტაცია ჩართულობის თვალსაზრისით, რაც მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ იგეგმება ანაკლიის გზის ოთხ კილომეტრიანი მონაკვეთის დაგება. იცით, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება სხვადასხვა ფონდებთან, მათ შორი მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდთან, რაც ძალიან დიდ ეფექტს მოგვცემს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერია დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

**მომხრე -30 დეპუტატი, წინააღმდეგი-1 (პაატა ადამია)**

**დაადგინეს:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31 დეკემბრის N100 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

**საკრებულომ მიიღო N2 დადგენილება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურება და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე;

**მომხსენებელმა ოთარ ქადარიამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამა. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურებისა და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამა (შემდეგში-პროგრამა) ვრცელდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ადგილობრივ და დევნილ მოქალაქეებზე. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ადგილობრივ და დევნილ მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ ერთ-ერთი ქვეპროგრამით წელიწადში ერთხელ, ხოლო სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 65001-ნაკლები), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) პირებს და ონკოლოგიურ ავადმყოფებს შეუძლიათ ისარგებლონ ერთჯერადად პროგრამით გათვალისწინებული ყველა მომსახურებით. მერიიდან სამედიცინო მომსახურების დაფინანსება არ ვრცელდება საგარანტიო წერილის გაცემამდე შესრულებულ სერვისზე. სამედიცინო მომსახურება და ძვირადღირებული მედიკამენტების დაფინანსება განისაზღვროს შემდეგნაირად: ძვირადღირებული გამოკვლევები (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონაროგრაფია)-მაქსიმალური ლიმიტი 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი; სტაციონარული სამედიცინო მომსახურება: ოპერაციების თანადაფინანსება-მოსარგებლები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონრები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები; ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ ოპერაციის ღირებულების ნაწილის დაფინანსების შემთხვევაში, თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად: ოპერაცია, რომლის თანაგადახდა პაციენტის მხრიდან შეადგენს 500 ლარამდე არ ფინანსდება. 500 (ხუთასი)-ლარიდან - 2000 (ორი ათასი) ლარამდე 50 %-ით, 2000 (ორი ათასი)-ლარიდან 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი. 5000 (ხუთი ათას ) ლარს ზევით მაქსიმალური ლიმიტი 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი. მოქალაქეები, რომლებსაც ოპერაციის (გარდა ესთეტიური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება ჯანდაცვის სახელმწიფო ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის პროგრამების ფარგლებში - მაქსიმალური ლიმიტი 1 000 (ერთი ათასი) ლარი (ჯანდაცვის კომისიის გადაწყვეტილებით); 0-18 წლამდე ბავშვების აბილიტაცია/რეაბილიტაცია: აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამა 50 ბავშვისთვის. მომსახურების დაფინანსება ყოველთვიურად -315 (სამას თხუთმეტი) ლარი; გ. ბ) სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე

ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება-მაქსიმალური ლიმიტი 500 (ხუთასი) ლარი, წელიწადში ერთხელ. მოსარგებლები დიაგნოზით: დაუნის სინდრომი; ბავშვთა ცერებრული დამბლა (G-80.0; G 80.1; G-80.2; G-80.3; G- 80.4; G 80.8 სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9; G-82.0; G-83.2); განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0); იშვიათი დაავადებების (ცელიაკია და ფენილკეტონურია) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების თანხით უზრუნველყოფა: ცელიაკია-ყოველთვიურად 250 (ორას ორმოცდაათი) ლარი. ფენილკეტონურია-ყოველთვიურად 500 (ხუთასი) ლარი. ძვირადღირებული მედიკამენტები, რომელთა ერთეულის ღირებულება აღემატება 50 (ორმოცდაათი) ლარს - მაქსიმალური ლიმიტი -150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის-250 (ორას ორმოცდაათი) ლარი-მოსარგებლები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები); 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შემდგომში შშმ) პირები; ონკოლოგიური ავადმყოფები; ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, დიაბეტი, გლავკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება) მქონე პირები; ონკოლოგიური დაავადებების სკრინინგი-მოსარგებლები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001 -ზე ნაკლები) შშმ პირები; ძალადობის მსხვერპლი; მარჩენალდაკარგული ბავშვის მშობელი; პროსტატის სპეციფიურ აგენტზე გამოკვლევა (40-45 წლამდე და 70 წელზე ზევით); ძუძუს კიბოს სკრინინგი (35-40 წლამდე 60 წელზე ზევით); საშვილისნოს ყელის კიბოს სკრინინგი (20-25 წლამდე და 60 წელზე ზევით); მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგი (40-50 წლამდე და 70 წელზე ზევით); ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგი; პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო კლინიკური კრიტერიუმები: ოჯახური ანამნეზი; იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში; ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება; E00-E07- ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები; E70-E90- მეტაბოლური დარღვევები; სარძევე ჯირკვლის კიბოს წინარე დარღვევები ან კიბო; კისრის ლიმფადენოპათია; ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება; უნაყოფობა. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება 200 (ორასი) ლარი. ბენეფიციარი, თვითონ/ან მისი ოჯახის სრულწლოვანი წევრი პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მისაღებად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოადგენს: განცხადებას; პროგრამით მოსარგებლის და განმცხადებლის პირადობის მოწმობის (საჭიროების შემთხვევაში დევნილის მოწმობის) ასლებს, დაბადების მოწმობის ასლს (საჭიროების შემთხვევაში) და რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს (აუცილებლობის შემთხვევაში); სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემულ ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №IV-100/ა-ს (დედანი); ანგარიშ-ფაქტურას (დედანი); საჭიროების შემთხვევაში ამონაწერს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; საჭიროების შემთხვევაში, შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტს; ოპერაციის თანადაფინანსების შემთხვევაში, მიმართვას საყოველთაო ჯანდაცვიდან/ გადაწყვეტილებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან ან სადაზღვევო კომპანიიდან მათ მიერ დაფინანსებული თანხის მითითებით; სპეციალიზირებული საკვების თანხის დაფინანსების შემთხვევაში-დამატებით: მშობლის საბანკო ანგარიშის ნომერს; ჩარიცხული



თანხის მიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციას. სამედიცინო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის, ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის და კომისიის მიერ ამ პროგრამის მე-3 მუხლის შესაბამისად, თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვროს დაფინანსების ოდენობა. დასკვნა (რეკომენდაცია) წარედგინება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს და ბენეფიციარზე გაიცემა საგარანტიო წერილი სამედიცინო დაწესებულებაში წარსადგენად. საგარანტიო წერილის მოქმედების ვადა განისაზღვრება შემდეგნაირად: 45 კალენდარული დღე მედიკამენტების, გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, კორონოგრაფია) დაფინანსების შემთხვევაში, სხვა ქვეპროგრამებზე -60 კალენდარული დღე (გარდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის, კვებით უზრუნველყოფის და სკრინინგული ქვეპროგრამებისა).

### **აზრი გამოთქვებს**

**ბათლომე შელიამ აღნიშნა:** ჩვენ გვყავს ქალაქში ორი ბავშვი, რომლებსაც აქვთ ფენილკეტონური დაავადების ტიპის მქონე დაავადება სხვა სახელწოდებით, რომლებიც არ ფინანსდებიან და ჩემი თხოვნა იქნება, რომ ეს ბავშვებიც მოხვდნენ დაფინანსების პროგრამაში.

**სალომე ჩანგელიამ აღნიშნა:** უნდა მოხდეს ამ ბავშვების დაავადების შესწავლა, თუ რამდენად არის საჭირო მათთვის შერეული კვება, შესაბამისად განისაზღვროს თანხის რაოდენობა, რომ პროექტში შევიტანოთ ცვლილება.

**პაატა ადამიამ აღნიშნა:** აღნიშნულ პროექტში დაფინანსების თანხის შემცირებას არ ვეთანხმები. მაინტერესებს 250 ლარის განახევრებით, როგორ წარმოგიდგენიათ ავადმყოფების დაფინანსება დღევანდელი ლარის დევალვაციის ფონზე.

**სალომე ჩანგელიამ აღნიშნა:** პროექტში გათვალისწინებულია ონკოლოგიური დაავადების მქონე ადამიანების დაფინანსება მაქსიმალურად. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ დაიწყო სიმბოლურ ფასად თანადაფინანსება იმ ადამიანებისა, რომლებიც პროგრამით ფინანსდებიან, ქრონიკული დაავადების მქონე ადამიანებისთვის ჩვენი დაფინანსების ვალუტა არ გაუმჯობესებულა, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან მათი დაფინანსება გაუმჯობესდა, გამომდინარე აქედან აღნიშნული ცვლილებით დაფინანსება კი არ მცირდება, არამედ საქმე გვაქვს ჩანაცვლებასთან.

**პაატა ადამიამ აღნიშნა:** ნორმალურ ქვეყანაში სოციალურ სფეროზე უფრო მეტად ფინანსდება ჯანდაცვის სფერო, რომელიც არის ქვეყნის მომავალი, თუმცა თქვენს მიერ წარმოდგენილ პროექტში ეს პირიქით ხდება.

**თაზო ფაცაცია აღნიშნა:** ღმერთმა ქნას, რომ საერთოდ არ იყოს საჭირო ეს დაფინანსება, მაგრამ როდესაც მუნიციპალური სამსახურები მუშაობდნენ წლების მანძილზე აღნიშნულთან დაკავშირებით, მათ დაუგროვდათ მონაცემები სატატისტიკაზე, რის გათვალისწინებითაც მოხდა პირველადი პროექტის შემუშავება, რომელზედაც სხვა მიმართულებით ეკონომიის გათვალისწინებით დაფინანსება გაიზარდა. მუნიციპალური ბიუჯეტის სიმცირის გამო

ბენეფიციარების დაფინანსება სრულად ვერ ხდება, მაგრამ იცით, რომ არსებობს მთავრობის დაფინანსება, თანაც ბატონმა დავით სერგეენკომ კარგად ისაუბრა იმაზე თუ რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ, ყველა გამოწვევა მუნიციპალურ დონეზე გათვალისწინებული იქნება, ხოლო თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით ნამდვილად მოახდინა რევოლუცია.

**კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა:** ვეთანხმები კოლეგას და პირად მაგალითზე დაყრდნობით, დარწმუნებით შემძლია გითხრათ, რომ ჯანდაცვის სფეროში მთავრობამ ნამდვილად მოახდინა რევოლუცია.

**ბათლომე შელიამ აღნიშნა:** წინსვლა გვაქვს ჯანდაცვის სფეროში, მაგრამ არსებობს ხარვეზი, რომლებსაც სჭირდება აღმოფხვრა.

**მამუკა წოწერიამ აღნიშნა:** ვთანხმდებით იმაზე, რომ იდეალურად ყველა სფეროში ნამდვილად არ გვაქვს საქმე, მაგრამ საუბარია იმაზე თუ სად ვიყავით და სანამდე მოვედით. ვეთანხმები კოლეგებს, რომ ჯანდაცვის სფეროში ნამდვილად მოხდა რევოლუცია, თუნდაც C-ჰეპატიტის პროგრამის გათვალისწინებით.

(თაზო ფაცაციაშვილმა პაატა ადამიას გადასცა საჩუქარი, სადაც წარმოდგენილი იყო ორი ცალი პატარა ზომის ცოცხი, რაზედაც ბათლომე შელიამ პროტესტის ნიშნად დატოვა დარბაზი).

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიამ დღის წესრიგის მესამე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

### **მომხრე - 29 დეპუტატი, წინააღმდეგი- 1 (პაატა ადამია)**

**დაადგინეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სამედიცინო მომსახურება და ძვირადღირებული მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამის დამტკიცების თაობაზე;

### **საკრებულომ მიიღო N3 დადგენილება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

**მომხსენებელმა ოთარ ქადარიამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 16-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური დახმარების განხორციელების წესი, რომელიც განსაზღვრავს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისათვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან (შემდგომში-მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი) სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში (შემდგომში-მერია) წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს. მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური უზრუნველყოფს დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებ(ებ)ის სისტემატურ შემოწმებას (ცვლილებ(ა)(ებ)ში) იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახ(ებ)ის გამოვლენა ან გაუქმება), რის საფუძველზეც შეაქვს შესაბამისი შესწორებები (დახმარების გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერიაშვილი დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

#### **მომხრე -29 დეპუტატი, წინააღმდეგი- 1 (პაატა ადამია)**

**დაადგინეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა სოციალური პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

#### **საკრებულომ მიიღო N4 დადგენილება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეხუთე საკითხი:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 ნოემბრის №112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

**მომხსენებელმა მამუკა წოწერიაშვილი აღნიშნა:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 ნოემბრის №112 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ მამუკა წოწერია დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -30 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე უსახელო ქუჩებისთვის სახელის მინიჭების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 ნოემბრის №112 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

საკრებულომ მიიღო N5 განკარგულება (თან ერთვის);

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე:



მამუკა წოწერია